სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება №01-06-02/66

ქ. თბილისი 24 დეკემბერი 2024

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დებულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „გ" და „ნ" ქვეპუნქტების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ე" და „ჟ" ქვეპუნქტების შესაბამისად, აკადემიური საბჭოს 2024 წლის №01-05-04/200 დადგენილების და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2024 წლის 24 დეკემბრის №01-06-02/11 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:**

1. „სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ" სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2021 წლის 30 სექტემბრის №01-06-02/40 დადგენილებით დამტკიცებულ სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დებულებაში შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) დებულების მთელ ტექსტში სიტყვები: „სტუ-ის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი“ შეიცვალოს სიტყვებით: „სტუ-ის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი/ცენტრი“, ხოლო სიტყვა: „ფაკულტეტი“ შეიცვალოს სიტყვებით: „ფაკულტეტი/სკოლა“.;

ბ) დებულების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები: ვიცე-რექტორები;“;

გ) დებულების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) სტუ-ის სამეცნიერო პერიოდული გამოცემების (ჟურნალების/შრომათა კრებულების) დაფუძნების, არსებული გამოცემების ხელახალი რეგისტრაციის საკითხის განხილვა სტუ-ის აკადემიური საბჭოს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.“.

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64.

სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)

სპიკერი, პროფესორი **ზაზა სოფრომაძე**